

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“-ს (მე-3 დონე, დუალური მიდგომით) აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ №152/ნ ბრძანების, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ინფორმაციის ტექნოლოგია“-ს დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის პროცედურებს, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
2. აღნიშნული წესის თანახმად, კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის უფლებას.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტითა და კომპანიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების ფორმატი და პირობები

1. კონკურსის ფორმატია - გასაუბრება.
2. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტები დააგროვებენ თანაბარ საკონკურსო ქულებს დადგენილი წესის შესაბამისად, კომპანია უფლებამოსილია კონკურსის მეორე ეტაპად განსაზღვროს ტესტირება საუკეთესო აპლიკანტის/პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით.
3. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 18-დან 25 წლამდე.
4. აპლიკანტი სავალდებულოა ფლობდეს ინგლისურ ენას B1 დონეზე, ხოლო ამავედროულად რუსული ენის ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად.
5. კონკურსს ატარებს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია.
6. კონკურსის ჩატარების თარიღი და აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
7. კონკურსი ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიულ ფართში, სასწავლო საწარმოს/კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:
 - ა) სასწავლო საწარმოს/კომპანიის წარმომდგენელ(ებ)ი;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომდგენელ(ებ)ი.
3. კომისიის მიერ აპლიკანტთა შეფასება ხდება დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
4. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების შეჯამება, შერჩეული აპლიკანტების გამოვლენა და შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში ასახვა, რომელსაც თან ერთვის აპლიკანტების შეფასების ფურცლი.
5. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 30 (ოცდაათი) ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 21 (ოცდაერთი) ქულა.
6. თითოეული აპლიკანტი გასაუბრებას კომპანიასთან გადის ცალ-ცალკე.

- კომპანიის წარმომადგენელ(ებ)ი აფასებენ აპლიკანტს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი N2) და შედეგები შეაქვთ კონკურსის წესით შესარჩევ აპლიკანტთა გასაუბრების შეფასების ფორმაში (დანართი N3).
- კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლენა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვეს საკონკურსო უპირატესობა საკონკურსოდ გამოყოფილი კვოტის ფარგლებში და უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში.
- კონკურსის შედეგები ელექტრონული ფორმით ეგზავნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა უფლება - მოვალეობები და კოლეჯის ვალდებულებები

- აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესსა და შეფასების კრიტერიუმებს.
- აპლიკანტი უფლებამოსილია ფლობდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიის თაობაზე.
- კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე და თან იქონის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- კონკურსზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს კონკურსის სხვა დღეს ჩატარება გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეალურ სამუშაო გარემოში გადანაწილების წესი

- აპლიკანტთა გადანაწილება კომპანიაში ხორციელდება კომპანიის მიერ აპლიკანტების ინდივიდუალური შეფასებების გათვალისწინებით, მათ მიერ მოცემული პერიოდისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში.
- კონკურსში მიღებული ქულების საფუძველზე კომპანია ახორციელებს კონკურსანტებისათვის სარეიტინგო ნომრის მინიჭებას, ხოლო თანაბარი ქულის მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს კომპანია.

მუხლი 6. კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

- კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
- კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
- კონკურსის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა საპრეტენზიო კომისიას უნდა მიმართოს მეორე სამუშაო დღეს.
- საპრეტენზიო კომისიის მიერ მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ ვადებში წარდგენილი განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.
- საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კონკურსში აპლიკანტის გასაუბრებაზე.
- საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.
- საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
- საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
- საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე,
 „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (მე-3 დონე), რომლის პროფესიული მოდულების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა,
 კონკურსის წესით შესარჩევ აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები

მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა

კრიტერიუმები	0-1	2-3	4-5
თვითპრეზენტაცია/ კომუნიკაცია	ინტერვიუებისას აპლიკანტი ვერ ახერხებს საკუთარი თავის წარდგენას. მეტყველებს გაურკვეველად, აქვს სახელმწიფო ენის ფლობის დაბალი დონე და სცილდება ძირითადი თემის არსს	ინტერვიუებისას აპლიკანტი დიდხანს ფიქრობს, აპელირებს საკუთარ მანკიერ თვისებებზე, მეტყველებს დიალექტზე/იყენებს ჟარგონს, ნაკლებად აქვს გააზრებული სწავლისა და დასაქმების მზაობა	ინტერვიუებისას აპლიკანტი იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას და ახდენს შთაბეჭდილებას მასზე, აქვს მეტყველების კარგი ტემპი, საკუთარ აზრს აყალიბებს ნათლად, დამაჯერებლად და ყველასთვის გასაგებად, გააზრებული აქვს მომავალი პროფესიის არსი და მნიშვნელობა
მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	0-1	2-3	4-5
	ინტერვიუებისას აპლიკანტს არ აქვს სწავლისა და დასაქმების მზაობა, ნაკლებად აქვს შესასრულებელი სამუშაოსადმი ინტერესი, ნაკლებად კონცენტრირდება	ინტერვიუებისას აპლიკანტს მეტწილად აქვს სწავლისა და დასაქმების მზაობა, აქვს შესასრულებელი სამუშაოსადმი ინტერესი, იჩენს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას შერჩეული პროფესიისადმი	ინტერვიუებისას აპლიკანტს აქვს სწავლისა და დასაქმების სრული მზაობა, არის ყურადღებიანი, მიზანსწრაფული, გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით
ხედვა გუნდური მუშაობისადმი	0-1	2-3	4-5
	ინტერვიუებისას აპლიკანტი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურად მუშაობას, უჭირს კოლეგის აზრის გათვალისწინება, არ ერთვება გუნდურ აქტივობებში	ინტერვიუებისას რიგ შემთხვევაში აქვს გუნდურ აქტივობებში ჩართვისა და კოლეგის აზრის გათვალისწინების მცდელობა	ინტერვიუებისას კარგად აქვს გააზრებული გუნდური მუშაობისა და კოლეგის მოსაზრების/რეკომენდაციის გათვალისწინების აუცილებლობა, კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტაციისა და კრიტიკის მიღების უნარი

დროის მენეჯმენტი	0-1	2-3	4-5
	ინტერვიუებისას აპლიკანტი ვერ გეგმავს დღის რეჟიმს, ვერ იაზრებს შესასრულებელი დავალების დროში გადანაწილების სქემას, არ აქვს სტრესულ გარემოში დაკისრებული დავალების დროულად შესრულების უნარი	ინტერვიუებისას აპლიკანტი გეგმავს დღის რეჟიმს, თუმცა ნაწილობრივ იაზრებს შესასრულებელი დავალების დროში გადანაწილების სქემას, სტრესულ გარემოში მეტწილად ართმევს თავს დაკისრებული დავალების დროულად შესრულებას	ინტერვიუებისას აპლიკანტი ადეკვატურად გეგმავს დღის რეჟიმს, აცნობიერებს შესასრულებელი დავალების დროში გადანაწილების სქემას, აქვს სტრესულ გარემოში დაკისრებული დავალების დროულად შესრულების უნარი
სწავლისა და პროფესიული განვითარების უნარი	0-1	2-3	4-5
	ინტერვიუებისას აპლიკანტი არ ამჟღავნებს მზაობას სწავლისა და პროფესიული განვითარებისადმი, ნაკლებად აქვს გააზრებული მომავალ პროფესიასთან დაკავშირებული მოლოდინები	ინტერვიუებისას აპლიკანტი ნაწილობრივ ამჟღავნებს მზაობას სწავლისა და პროფესიული განვითარებისადმი, სრულად ვერ იაზრებს მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ მოლოდინებს	ინტერვიუებისას აპლიკანტი გამოხატავს სრულ მზაობას დუალური სწავლებისა და პროფესიული განვითარებისადმი, აცნობიერებს პროფესიასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მოლოდინებს
ორგანიზაციული ქცევა	0-1	2-3	4-5
	დაკვირვება-გასაუბრებისას აპლიკანტი ზედმეტად იყენებს ჟესტებს, არ იცავს ეტიკეტის ნორმებს, არაადეკვატურად პასუხობს დასმულ შეკითხვებს ან თავს არიდებს მათზე პასუხის გაცემას, არ აქვს კომპანიასა და კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმების მიღების მზაობა	დაკვირვება-გასაუბრებისას აპლიკანტი ნაკლებად იყენებს ჟესტებს, მეტ-ნაკლებად იცავს ეტიკეტის ნორმებს, ადეკვატურად პასუხობს დასმულ შეკითხვებს, იშვიათად არიდებს თავს კითხვებზე პასუხის გაცემას, მეტწილად აქვს კომპანიასა და კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმების მიღების მზაობა	დაკვირვება-გასაუბრებისას აპლიკანტი არიყენებს ჟესტებს, იცავს ეტიკეტის ნორმებს, ადეკვატურად პასუხობს დასმულ შეკითხვებს, არ არიდებს თავს კითხვებზე პასუხის გაცემას და გააზრებული აქვს კომპანიასა და კოლეჯში არსებული ეთიკის ნორმების მიღების მზაობა

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ქ. თბილისი

„-----“, ----- 201 წ.

კონკურსის წესით შესარჩევ აპლიკანტთა გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა.

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 5 ქულა

N	აპლიკანტის სახელი, გვარი	კრიტერიუმი 1	კრიტერიუმი 2	კრიტერიუმი 3	კრიტერიუმი 4	კრიტერიუმი 5	კრიტერიუმი 6	ქულათა ჯამი	შენიშვნა

კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი:

წევრი: